



სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში „სდასუ“) ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს სდასუ-ს საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში განხორციელებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით უზრუნველყოფს ჟურნალისტიკის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტების, ფილოლოგების მომზადებას და მათთვის შესაბამისი სფეროს ბაკალავრის და ან მაგისტრის ხარისხის მინიჭებით;

1.2 ფაკულტეტის საქმიანობას ახორციელებს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით და ანგარიშვალდებულება სდასუ-ს დამფუძნებელთა, რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

1.3 ფაკულტეტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციებისა და კონვენციების, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა მარეგულირებელი აქტების, სდასუ-ს დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე;

1.4 ფაკულტეტი არ არის იურიდიული პირი;

1.5 ფაკულტეტი აქვს საკუთარი ბეჭედი;

1.6 ფაკულტეტს აქვს სტრუქტურული ერთეული - საერთო მაუწყებლობაზე ავტორიზებული ტელევიზია - სდასუ - TV;

1.7 ფაკულტეტის იურიდიული მისამართი და ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N 25.

მუხლი 2. ფაკულტეტის ძირითადი მიზნები

2.1 ფაკულტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) მუდმივად პროგრესირებად საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით დაინტერესებული პირების განათლების უზრუნველყოფა და კვალიფიციური კადრების მომზადება;

ბ) სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა;

გ) ეროვნულ და საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;

დ) ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ინფორმაციის სწორად, მიუკერძოებლად გადაცემის და აღქმის, უცხოური ენების შესწავლის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია;

ე) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული

საქმიანობის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

ვ) სტუდენტთა საგანმანათლებლო, კვლევითი და კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

ზ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

3.1 ფაკულტეტის ამოცანებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა;

ბ) მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის ღონისძიებების გატარება;

გ) ჟურნალისტიკის, ინგლისური ფილოლოგიის დარგში მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ თავისი კვალიფიკაციის ეფექტურად გამოყენებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

დ) კვლევების განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;

ე) პერსონალის ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერა;

ვ) ფაკულტეტის სტუდენტთა ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერა;

ზ) ფაკულტეტის ცნობადობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

თ) ეთიკისა და ქცევის ნორმების გაცნობა და მათი დაცვის წახალისება.

მუხლი 4. ფაკულტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

4.1 ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია) ფაკულტეტის საბჭო და დეკანი;

4.2. ფაკულტეტი, მართვის ორგანოების გარდა, შედგება სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც იქმნება სდასუ-ს რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

სდასუ-ს ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში: „ფაკულტეტის საბჭო“) სდასუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულის, სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის მართვას.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

6.1 ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რიცხვი 4-ის ჯერადი არ არის, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას დამრგვალება მოხდება სტუდენტების სასარგებლოდ.

6.2 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება სდასუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

7.1 ფაკულტეტის საბჭო:

- ა) განსაზღვრავს ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;
- ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სდასუ-ს რექტორს;
- გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;
- დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს;
- ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ვ) დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს;
- ზ) ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან, ან საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/2-ის მოთხოვნით;
- თ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს სდასუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად.

7.2 ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და სდასუ-ს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი

8.1 ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, რომლის არჩევა ხდება ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე, ახორციელებს საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას.

8.2 ფაკულტეტის საბჭოს მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;
- ბ) ამზადებს წერილებს და საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;
- გ) ამზადებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
- დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;
- ე) აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს არქივს.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

9.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

- ა) სდასუ-ს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას;
- ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად

ცნობის შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად.

9.2 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

10.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

- ა) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას;
- ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში;
- გ) სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

10.2 ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

11.1 ფაკულტეტის საბჭოს სხდომას იწვევს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ფაკულტეტის საბჭოს ერთერთი წევრი ფაკულტეტის დეკანის წინასწარი გადაწყვეტილებით.

11.2 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ერთი მესამედის გადაწყვეტილებით.

11.3 ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

11.4 ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - საბჭოს ერთ-ერთი წევრი ფაკულტეტის დეკანის წინასწარი გადაწყვეტილებით).

11.5¹ სხვა, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვს დაესწროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

11.5² სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

11.6 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11.7 ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

11.8 ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში ამ მუხლის მე-11.6 და მე-11.7 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება ფაკულტეტის საბჭოს სიით შემადგენლობას გამოკლებული იმ წევრთა რიცხვი, რომელთაც შეჩერებული აქვთ უფლებამოსილება.

11.9 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ფარული კენჭისყრის ჩატარების საკითხს წინასწარ წყვეტს დეკანი.

მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

12.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს ერთ-ერთი წევრი ფაკულტეტის დეკანის წინასწარი გადაწყვეტილებით) და ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

12.2 ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება ფაკულტეტის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადაეცემა სდასუ-ს არქივს.

მუხლი 13. ფაკულტეტის დეკანი

13.1 სდასუ-ს ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია ჟურნალისტიკის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი (შემდგომში: „ფაკულტეტის დეკანი“), რომელიც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას.

13.2 ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს სდასუ-ს რექტორი.

13.3 დეკანის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს სდასუ-ს პროფესორი.

მუხლი 14. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

14.1 ფაკულტეტის დეკანი:

ა) ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს წინაშე;

ბ) წარმოადგენს ფაკულტეტის და ფაკულტეტის საბჭოს სდასუ-ს აკადემიური საბჭოსა და სდასუ-ს რექტორის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების წინაშე;

გ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

დ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

ე) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის და ფაკულტეტის საბჭოს დებულებებს;

- ზ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას და ხელმძღვანელების კანდიდატურებს დასამტკიცებლად;
- თ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ი) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- კ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;
- ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია სდასუ-ს აკადემიური საბჭოს, რექტორის, აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;
- მ) წარმათავს ურთიერთობებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ სმეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- ნ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საკომუნიკაციო პოლიტიკას;
- ო) წარმართავს და ახორციელებს ურთიერთობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, პასუხისმგებელია ფაკულტეტის იმიჯზე, შიდა და გარე კომუნიკაციებზე;
- პ) ორგანიზებას უწევს და წარმართავს საპრეზენტაციო ღონისძიებებს;
- ჟ) განიხილავს და პასუხობს ფაკულტეტის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;
- რ) ახორციელებს ფაკულტეტზე განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;
- ს)მეთვალყურეობასა და ზედამხედველობას უწევს ფაკულტეტზე დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და სდასუ-ს შინაგანაწესის დაცვას;
- ტ) ისმენს ფაკულტეტის სტრუქტურული დანაყოფებისა და/ან ცალკეული დასაქმებულების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და ახდენს მათ შეფასებას;
- უ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავს რექტორს წინადადებით დასაქმებულთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;
- ფ) პასუხისმგებელია ფაკულტეტისთვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.
- 14.2 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სდასუ-ს დებულებითა და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს და საქმიანობას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ფაკულტეტის მიზნებს.
- მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა**
- 15.1 ფაკულტეტის დეკანს უფლებამოსილება შეუწყდება:
- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) უფლებამოსილების 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;
- გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;
- 15.2 ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების და/ან დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს რექტორს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 16. ბაკალავრიატი

16.1 ბაკალავრიატი (შემდგომში „ბაკალავრიატი“) არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი;

16.2 ბაკალავრიატში სწავლა მიმდინარეობს სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მთავრდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 17. ბაკალავრიატში ჩარიცხვის წესი

17.1 ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს.

17.2 ბაკალავრიატში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. მაგისტრატურა

18.1 მაგისტრატურა (შემდგომში „მაგისტრატურა“) არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, რომელიც მოიცავს სასწავლო, პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. მაგისტრატურა მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

18.2 მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და მთავრდება შესაბამისი სფეროს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 19. მაგისტრატურაში ჩარიცხვის წესი

19.1 მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

19.2 მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 20. ფაკულტეტის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა

20.1 ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.

20.2 ფაკულტეტის დებულება ძალაში შედის სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, რაც დასტურდება რექტორის ხელმოწერით.

20.3 ფაკულტეტის წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი

ცვლილება-დამატებები მასში ძალაში შევა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და რექტორის ხელმოწერისთანავე.